ხაშურის მოამბე

№16 (298) 7 ივნისი, ორშაბათი, 2021 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

1 ივნისს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ნოზაძე.

სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა, აუცილებლობიდან გამომდინარე, ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს მიერ ადრე მიღებულ რამდენიმე დადგენილებაში. შემდეგ, დეპუტატებმა იმსჯელეს და თანხმობა მისცეს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დელეგირებას მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს შექმნასთან დაკავშირებით.

ამავე სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს 2021 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.

სხდომის დასასრულს, საკრებულომ მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ, 2020 წელს, გეგმით გათვალისწინებული სამუშაოებისა და გაწეული საქმიანობის ანგარიში, რომელიც შეფასდა დადებითად.

შიდა ქართლს ახალი გუბერნატორი ჰყავს

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ლერი ბარნაბიშვილმა შიდა ქართლის ახალი სახელმწიფო რწმუნებული, ვალერიან მჭედლიძე რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში წარუდგინა.

შეხვედრაზე რეგიონის ახალმა რწმუნებულმა თვითმმართველობებთან მჭიდრო ურთიერთობების მნიშვნელობასა და ყველა იმ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება, რაც შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებისთვის პრიორიტეტულია.

„დღეს წარვადგინეთ ახალი სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის რეგიონში, ბატონი ვალერიან მჭედლიძე. ბატონი ვალერი არის შიდა ქართლიდან, კონკრეტულად, გორიდან, საკმაოდ კარგად იცნობს რეგიონის პრობლემებს და გამოწვევებს. ამასთანავე, ახალი რწმუნებული მუშაობდა სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციებზე, სახელმწიფო სტრუქტურებში, მათ შორის ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში. მას აქვს საკმაო გამოცდილება იმ უწყებებში მუშაობის, რომელიც დაკავშირებულია რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ვალერი იქნება ძალიან ეფექტური მენეჯერი, ეფექტური სახელმწიფო რწმუნებული. ის კარგად შეძლებს კოორდინაციას, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ეფექტურად შეხვდება იმ გამოწვევებს, რომელიც პრემიერ-მინისტრის ინიციატივით მიმდინარეობს საქართველოს რეგიონებში“, - განაცხადა ლერი ბარნაბიშვილმა.

ვალერიან მჭედლიძემ პრემიერ-მინისტრს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

„მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, ასევე საქართველოს მთავრობას, გამოცხადებული ნდობისთვის. მე ვარ წარმოშობით ამ რეგიონიდან და კარგად ვიცნობ რეგიონს. გამოვიყენებ მთელ ჩემს ცოდნას, გამოცდილებას, რათა მეტი გავაკეთოთ ამ რეგიონში - ახალი პროექტები განვახორციელოთ და მივყვეთ იმ გეგმებს, რომელიც მთავრობის მიერ არის დასახული“, - განაცხადა ვალერიან მჭედლიძემ.

ხაშურში საქალაქო კულტურის სახლის (ყოფილი რკინიგზის კლუბის) რეაბილიტაცია მიმდინარეობს

პროექტი დარბაზის სრულ მოწყობას ითვალისწინებს. უკვე მოეწყო სცენა, საოპერატორო სივრცე, მოპირკეთდა ჭერი, შეიღება კედლები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დარბაზის იატაკის დაგება, რის შემდეგაც დამონტაჟდება სკამები, მოეწყობა გახმოვანების და განათების სისტემები.

ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ინშაათ საქართველოს“ წარმომადგენლების განმარტებით, სამუშაოები ერთ თვეში დასრულდება და საბოლოო სახე, სრულად, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების მეტად განვითარებას, რაც ყველა ხაშურელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

კულტურის სახლის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 904313 ლარია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება #24

2021 წლის 01 ივნისი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს შექმნასა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დელეგირებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტში დღეს მოქმედებს ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“ (ს/კ 443856908), რომლის ფუნქციონირების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს უპატრონო, უმეთვალყურეო ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის ხელშეწყობა. მიუხედავად აღნიშნულისა, მწვავედ დგას მიუსაფარ ცხოველთა სიმრავლის პრობლემა. აღნიშნული პრობლემა, მისი მასშტაბებიდან გამომდინარე, არა მხოლოდ ხაშურის მუნიციპალიტეტში, არამედ მთლიანად შიდა ქართლის რეგიონშია, შესაბამისად, ამ პრობლემასთან გამკლავება შიდა ქართლის რეგიონში არსებული ყველა მუნიციპალიტეტის ერთობლივი,კოორდინირებული მოქმედებით უფრო ეფექტიანი იქნება. უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტთა შორის თანამშრომლობა, როგორც ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისა და კარგი მმართველობის, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების ეფექტიანი განხროციელებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხარისხიანი სერვისების მიწოდების ინსტრუმენტი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 21 მაისის №20-2021141366 წერილით ირკვევა, რომ 2019 წლის აგვისტოში, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს (შემდგომში „ფონდი“) აცნობა, რომ შიდა ქართლის რეგიონში მწვავედ დგას მიუსაფარ ცხოველთა სიმრავლის პრობლემა. დიდია რისკი დაავადებებისა და ეპიდემიის გავრცელებისა, ასევე, ხშირია ადამიანების დაკბენის შემთხვევები. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, გადაუდებელ საჭიროებად მიაჩნია, ქალაქ გორში, ცხოველთა ინტერმუნიციპალური თავშესაფრის მოწყობა, რომლის ოპერირების არეალი იქნება შიდა ქართლის რეგიონში შემავალი ოთხივე მუნიციპალიტეტი (გორი,კასპი,ქარელი,ხაშური). აღნიშნული მასშტაბების გამო, ფონდს ეთხოვა, საპროექტო დოკუმენტაციის მზადებისას, შეძლებისდაგვარად, გაეთვალისწინებინათ,მინიმუმ 150 ძაღლზე შესაბამისი რაოდენობის ვოლიერის მოწყობა, ადმინისტრაციული და კარანტინის შენობებით, ვეტერინარული კლინიკით, ლაბორატორიით და ყველა სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა. ეცნობა ასევე,რომ ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობისათვის გამოიყოფოდა მიწის ნაკვეთი (ს/კ 66.45.02.10), რომელთან ახლოს მდებარეობს თავშესაფრის ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო კომუნიკაციები (წყალი, გაზი, ელექტროენერგია). თავშესაფრის მიზანი იქნებოდა ცხოველისა და ადამიანის თანაარსებობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. გარდა მიუსაფარ და კომპანიონ ცხოველთა მომსახურებისა, დაგეგმილი იყო თავშესაფრისთვის რეგიონის მასშტაბით ცხოველთა ინფექციური დაავადებების მონიტორინგი და პრევენციული ზომების გატარება,რიგი დაავადებების შემთხვევაში აუცილებელი იყო მათი არამხოლოდ ბუნებიდან ამოღება, არამედ მათი სხეულების სრული კრემაცია. სწორედ აღნიშნული მიზნების მისაღწევად, ფონდს ეთხოვა, ცხოველთა თავშესაფარის აღჭურვისთვის ხელსაწყო-დანადგარების შერჩევის ეტაპზე, შესაძლებლობის ფარგლებში, გაეთვალისწინებინა პატარა და დიდი ზომის კრემატორიუმები. ხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, მერიამ ფონდს სთხოვა აღმოეჩინა დახმარება უპატრონოდ დარჩენილ ცხოველთა ინტერმუნიციპალური თავშესაფრის პროექტის განხორციელებაში. 2019 წლის სექტემბერში დამტკიცდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. 2019 წლის ნოემბერში,შეთანხმებულ იქნა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობის არქიტექტურულ-კონსტრუქციული პროექტი. ამავე თვის ბოლოს, მიეცა მშენებლობის ნებართვა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობისათვის არქიტექტურული პროექტის მიხედვით და გაიცა მშენებლობის ნებართვის მოწმობა (ობიექტზე მდებარე: გორი, შინდისის გზატკეცილი მე-2 კმ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სარეგისტრაციო № 902018056904; საკადასტრო კოდი № 66.45.02.055). დღეის მდგომარეობით, გორში ცხოველთა ინტერმუნიციპალური თავშესაფარი აშენებულია, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციულ და კარანტინის შენობებს, ვეტერინარულ კლინიკას, ლაბორატორიას, ვოლიერებსა და ყველა სხვა აუცილებელ ინფრასტრუქტურას. უახლოეს პერიოდში იგეგმება ზემოაღნიშნული ობიექტის გორის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა, შესაბამისად, საჭიროა შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს შექმნა, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი იქნება შესაბამის მუნიციპალიტეტებში (კასპი, გორი, ქარელი, ხაშური) საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების - უპატრონო ცხოველების საკითხების გადაწყვეტა, აგრეთვე ადამიანისა და შინაური ცხოველების უსაფრთხო თანაარსებობისათვის მდგრადი გარემოს შექმნა და შინაურ ცხოველებთან დაკავშირებით წესდებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება. აღნიშნული სააგენტო შეითავსებს იმ ფუნქციებს, რომელსაც ამ დროისათვის ახორციელებს ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“. შესაბამისად, სააგენტოს შექმნის შემდეგ, ა(ა)იპ „ხაშურსერვისს“ აღარ ექნება უპატრონო, უმეთვალყურეო ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის ხელშეწყობის მიმართულება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა; მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ, აღნიშნული უფლებამოსილების ეფექტიანი განხორციელებისა და მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევის მიზნით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, დააფუძნონ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გათვალისწინებული ერთობლივი კერძო სამართლის იურიდიული პირი. გადაწყვეტილებას აღნიშნულის თაობაზე იღებენ მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოები მუნიციპალიტეტების საკრებულოების თანხმობით. მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას გასცემს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე, რაც არ გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარეგისტრაციო განაცხადის და მასზე თანდართული დოკუმენტების მოწონებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს შექმნაზე და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დელეგირებაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 21-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 1061 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს გორის, ქარელის და კასპის მუნიციპალიტეტებთან ერთად, დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო (შემდგომში,სააგენტო), რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი იქნება შესაბამის მუნიციპალიტეტებში საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების - უპატრონო ცხოველების საკითხების გადაწყვეტა,აგრეთვე ადამიანისა და შინაური ცხოველების უსაფრთხო თანაარსებობისათვის მდგრადი გარემოს შექმნა და შინაურ ცხოველებთან დაკავშირებით წესდებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.
2. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს უზრუნველყოს უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება.
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
5. განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge ;
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ნოზაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება # 25

2021 წლის 01 ივნისი, ხაშური

ხაშურში, ალ. ყაზბეგის ქუჩის მონაკვეთისათვის, პირველ საჯარო სკოლასა და დასასვენებელ პარკს შორის, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპული მებრძოლების ხეივანი“-ს სახელის მინიჭების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2021 წლის 21 მარტის წერილის საფუძველზე,რეგისტრირებულია ინიციატივა ხაშურში ალ. ყაზბეგის ქუჩის მონაკვეთისათვის, პირველ საჯარო სკოლასა და დასასვენებელ პარკს შორის, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპული მებრძოლების ხეივანი“-ს სახელის მინიჭების თაობაზე. აღნიშნულ ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქეები წინააღმდეგი არ არიან და ეთანხმებიან გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. მოსახლეობასთან კონსულტაციის მიზნით, საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები, კანონით დადგენილი ვადით გამოქვეყნებული იყო საჯაროდ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და რაიმე სახის შენიშვნები და მოსაზრებები არ შემოსულა. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქუჩის მონაკვეთისათვის სამშობლოს დაცვისთვის დაღუპული მეომრების სახელის მინიჭება. ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტის სახელდების საკითხი შეთანხმებულია გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიასთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ ხაშურში, ალ. ყაზბეგის ქუჩის მონაკვეთს (მდებარეს: ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, სიგრძე 150 მეტრი, სიგანე 10 მეტრი, აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სასეირნო პარკი, დასავლეთით - 1 საჯარო სკოლა, სამხრეთით - სააკაძის ქუჩა,ჩრდილოეთით - ტაბიძის ქუჩა,კოორდინატებია X-383589, -4650263, X-383687, -4650157) მიენიჭოს „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპული მებრძოლების ხეივანი“-ს სახელი.
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;
3. განკარგულება ეცნობოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.
4. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ–გვერდზე www.khashuri.org.ge-ზე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ნოზაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება # 26

2021 წლის 01 ივნისი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის დეკემბრის ბიუროს სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს კომისიების წლიური სამუშაო გეგმები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა საკრებულოს მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საჭიროებს საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებას.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად. (დანართი თან ერთვის 1 ფურცლად);
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge
4. განკარგულება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე ზურაბ ნოზაძე

პროექტი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის III კვარტლის სამუშაო გ ე გ მ ა

N	საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხების დასახელება	განხილვის დრო	საკითხზე მომხსენებელი	საკითხის მომზადებაზე პასუხისმგებელი კომისია
1	*2*	*3*	*4*	*5*
1	ხაშურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ 2021 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობისა და ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით გაწეული საქმიანობის მოსმენა-შეფასების შესახებ	ივლისი	ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორი	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2021 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის მოსმენა- შეფასების შესახებ	აგვისტო	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ 2021 წლის პირველ ნახევარში სამსახურის დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის კუთხით გაწეული მუშაობის მოსმენა-შეფასების შესახებ	სექტემბერი	მერიის საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების ხელმძღვანელი	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება # 27

2021 წლის 01 ივნისი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2020 წელს გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისა და გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 2021 წლის 01 ივნისის სხდომაზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, მოისმინა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2020 წელს გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისა და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, რომელიც საკრებულოს მიერ შეფასდა დადებითად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დადებითად იქნას შეფასებული ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2020 წელს გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისა და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ნოზაძე

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ.# 1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15)

მიხაილოვოს რკინიგზის ორკლასიან სასწავლებელში, გახსნისთანავე, სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რაზეც ქართველ საზოგადოებას არაერთხელ გამოუთქვამს გულისწყრომა. ჟურნალი „კვალი”, 1897 წელს, აღნიშნულის თაობაზე, წერდა: „რკინიგზის სკოლაში იზრდებიან რკინის გზის მოსამსახურე ხალხის შვილები. მათ შორის უმეტესობა ქართველობაა. ქართველი ბავშვები თავიანთ სწავლას პირდაპირ რუსული ენით იწყებენ, ამ სკოლაში მოსწავლე ქართველმა ბავშვებმა არცერთი ქართული ასო არ იციან”.

იგივეს წერდა გაზეთი „ივერია”. კორესპონდენციის ავტორი ყიფიანი აღნიშნავდა, რომ იგი და იოსებ ფანცულაია შეხვედრიან რკინიგზის სასწავლებლის მოსწავლეებს, რომლებსაც ქართული წერა-კითხვა არ სცოდნიათ... „კანონს გარეშე არ იქნება, რკინიგზის ქართველმა მოსამსახურეებმა რკინიგზის უფროსს სთხოვონ, რომ იმან იშუამდგომლოს, ვისთანაც ჯერ არს, რომ ქართველ მოსწავლეებს ქართული ენაც ასწავლონ. დარწმუნებული ვართ, რომ მთავრობა ამგვარ თხოვნას ყურადღებას მიაქცევს” – დაიმედებული ამთავრებდა წერილს ყიფიანი.

1912 წელს, გაზეთი „ქართლი” აღნიშნულ საკითხზე წერდა: „...ყველგან ამ ახლო-მახლო საცა კი არის რკინიგზის სასწავლებელი, ასწავლიან ქართულ ენას, მაგრამ ხაშურში არა,პირველ დაწყებით განყოფილებაში მოწაფენი თუთიყუშებივით იმეორებენ რუსულ სიტყვებს, ქართველი მასწავლებლები კი სდუმან”...

ეს მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა 1918 წლამდე,სანამ არ დაიწყო საქართველოში სკოლების გაეროვნების პროცესი. 1899 წლის 18 თებერვლისათვის ამ სასწავლებელში სწავლობდა 301 მოსწავლე, რომელთაგან ქართველი იყო 184, რუსი – 87, სომეხი – 7, ებრაელი – 2, სხვა ეროვნების – 19.

სკოლას გააჩნდა წიგნთსაცავი, რომელზეც ყოველწლიურად იხარჯებოდა 500 მანეთი.

ხაშურში სახალხო განათლების განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საშუალო სასწავლებლების – ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების გახსნა.

1908 წლის აგვისტოში, ხაშურში დაისვა საკითხი საშუალო სასწავლებლის გახსნის შესახებ. იმავე წლის 23 სექტემბერს არჩეული იქნა სამზრუნველო საბჭო, რომელსაც დაევალა, სისრულეში მოეყვანა ხაშურში საშუალო სასწავლებლის გახსნის საკითხი.

მანამდე, როგორც ირკვევა, ე.შატბეროვას და ს. გამრეკელოვს აღძრული ჰქონდათ საკითხი თბილისის გუბერნატორის წინაშე ხაშურში კერძო სასწავლებლის გახსნის შესახებ. რადგან სასწავლებლის გახსნა და მისი შენახვა გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, სამზრუნველო საბჭომ გადაწყვიტა, მოლაპარაკება გაემართათ ე.შატბეროვასთან და ს.გამრეკელოვთან,რათა გაერთიანებული ძალებით დაეარსებინათ სასწავლებელი.

მართლაც, 1908 წლის 10 ნოემბერს,ხაშურში გაიხსნა ოთხკლასიანი კერძო პროგიმნაზია, რომელმაც ძირითადად სწავლის გადასახადისა და შემოწირულობების საფუძველზე დაიწყო მოქმედება. იმავე წელს,დაახლოებით 130 პირმა გამოთქვა სურვილი ერთდროული ფულადი დახმარების გაღებისათვის, რაც მთლიანად შეადგენდა 3291 მანეთს, სწავლის ფასი მოსამზადებელ კლასში დაწესდა 30,ხოლო დანარჩენ კლასებში 40 მანეთი. სკოლის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გზაზე, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რკინიგზის ხაშურის მუშა მოსამსახურეთა გადაწყვეტილება თავიანთი ხელფასიდან 5 წლის მანძილზე ყოველთვიურად გაეღოთ 1%. აღნიშნული სურვილი 600 რკინიგზელმა გამოთქვა და მათ მიერ 1908 წელს შემოვიდა 169 მანეთი, 1909 წელს – 2695, ხოლო 1910 წელს – 2800 მანეთი და ა.შ. შემდგომ წლებში თანდათან გაიზარდა რკინიგზელთა ფულადი შემწეობა, რაც ერთადერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა სასწავლებლის ფუნქციონირებისათვის.

1909 წლის 1 იანვრისათვის სკოლაში სწავლობდა 93 მოსწავლე, ხოლო 1 სექტემბრისათვის 150. 1910 წლის 1 ნოემბრისათვის სასწავლებელში იყო უკვე 170 მოსწავლე, 1911 წელს – 192 და ა.შ.

1910 წელს, ხაშურში შეიქმნა სამზრუნველო საზოგადოება, რომლის მიზანი იყო, ხაშურში ვაჟთა გიმნაზიის დაარსება და თუ საშუალება ექნებოდათ –ქალთა გიმნაზიისაც. საზოგადოების წესდება იმავე წლის 21 სექტემბერს დაამტკიცა თბილისის ვიცე-გუბერნატორმა.

საზოგადოების შექმნის შემდეგ, ხაშურში უკვე არსებული კერძო ვაჟთა პროგიმნაზია გადავიდა მის გამგებლობაში და მან დაიწყო ზრუნვა გიმნაზიის დასაარსებლად საზოგადოების ძალისხმევით,1912 წელს უკვე სახეზე გვაქვს ექვსკლასიანი პროგიმნაზია, ხოლო 1915 წლისათვის კი გიმნაზია.

საზოგადოებამ მოახერხა, გიმნაზიისათვის საკუთარი შენობის აგებაც, სადაც 1916 წლის იანვარში დაიწყო სწავლა.

ხაშურის გიმნაზიაში მოღვაწეობდნენ იმ დროს გამოჩენილი არაერთი მასწავლებელი. კერძოდ, ალ. მდივანი, გ. იოსელიანი, გ. ნაკაშიძე, პ. ჭაბუკიანი, გ. ჯანაშვილი და სხვები, ხოლო მის კედლებში აღიზარდნენ აკად. ალ. ბარამიძე, პროფესორები: კ. სალია, გრ. კიკნაძე, გ. კიკნაძე, გრ. ბარამიძე, ალ. ბუხნიკაშვილი, გრ. ერემოვი რესპუბიკის სახალხო არტისტები ა. ომიაძე, შ. ხერხეულიძე და სხვები.

1915 წლისათვის ხაშურში შესაძლებელი გახდა ქალთა გიმნაზიის დაარსებაც. იგი ფუნქციონირებდა ვაჟთა გიმნაზიის შენობაში მეორე ცვლაში. ორი საშუალო სასწავლებლის ფუნქციონირება ეს უკვე მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ქალაქში სახალხო განათლების განვითარების გზაზე, მაშინ როდესაც საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში, როგორიც არის ბათუმი, სოხუმი., ფოთი და გორი იყო ორ-ორი საშუალო სასწავლებელი, ხოლო რაც შეეხება ისეთ სამაზრო ცენტრებს, როგორიც იყო ახალციხე, ახალქალაქი, სიღნაღი, ოზურგეთი, შულავერი, ყვირილა და სხვა, საშუალო სასწავლებელი არ ჰქონდათ. ამავე დროს აღნიშნული ქალაქები მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით საგრძნობლად აღემატებოდა ხაშურს.

1916 წელს,ვაჟთა გიმნაზიაში სწავლობდა 368, ხოლო ქალთა გიმნაზიაში 115 მოსწავლე.

ხაშურში 900-იანი წლებიდან მოქმედებდა სამრევლო სკოლა, სადაც 1914 წლის 1 იანვრისათვის სწავლობდა 35 მოსწავლე, 20 ვაჟი და 15 ქალი. სკოლას ჰყავდა ერთი მასწავლებელი.

1918 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დიდი ყურადღება მიექცა სკოლების გაეროვნების საკითხს.თითქმის ყველა სასწავლო დაწესებულებაში სწავლება უკვე ხორციელდებოდა ქართულ ენაზე. მავე დროს,საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებს უფლება ეძლეოდათ გაეხსნათ თავიანთი სკოლები. ასე იყო ხაშურშიც. 1918 წლიდან აქ დაარსდა ბერძნული დაწყებითი სკოლა. გარკვეული ცვლილებები განიცადა არსებულმა სკოლებმაც. კერძოდ, ზემო ჭალის სკოლა გადაკეთდა უმაღლეს პირველდაწყებით სკოლად. რკინიგზის ორკლასიანი სასწავლებელი გადაკეთდა რკინიგზის უმაღლეს პირველდაწყებით სკოლად,ამავე დროს მის ბაზაზე ჩამოყალიბდა რკინიგზის I და II პირველდაწყებითი სკოლები. სათანადო ცვლილებები განიცადა ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებმაც.

ეს მდგომარეობა არ შეცვლილა 1921 წლამდე.

თეატრი ხაშურში პირველი თეატრალური წარმოდგენები XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იმართებოდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1876 წლის 29 აგვისტოს, აქ ხანძრის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად წარმოადგინეს ზ. ანტონოვის „ქმარი ხუთი ცოლისა”. წარმოდგენიდან შემოსული თანხა გადაეცა დაზარალებულებს.

ქართული პერიოდული პრესა ამის შემდეგ 90-იან წლებამდე ხაშურში თეატრალური ცხოვრების შესახებ აღარანაირ ცნობას აღარ გვაწვდის.

ხაშურელი სცენისმოყვარეები ხშირად წარმოდგენებს საქველმოქმედო მიზნითაც მართავდნენ. 1891 წლის 27 თებერვალს იოსებ ფანცულაიას ხელმძღვანელობით მათ ა. ცაგარელის ცნობილი კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ” წარმოუდგენიათ წინამძღვრიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ. აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი სპექტაკლი ხაშურში,რომელშიც კაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობდნენ. ეს ის პერიოდი იყო, როცა საზოგადოებაში ტრიალებდა აზრი, რომ „ქალისათვის სცენაზე გამოსვლა სათაკილოა”. იოსებ ფანცულაიამ, რომელმაც „...მიიღო ყველაზე უმეტესი შრომა და მონაწილეობა ამ წარმოდგენაში, როგორც იყო, მიაღებინა მონაწილეობა ქალებსაც” და რეცენზენტი აღფრთოვანებული წერს მათი თამაშის შესახებ „განსაკუთრებით დიდი მადლობის ღირსია მ .ფანცულაია, რომელმაც თავის სცენაზე გამოსვლით დიდად ასიამოვნა ხალხი და იმედია, რომ ეს ქალბატონი კვლავაც მიიღებს მონაწილეობას და მით დიდად დაავალებს და გაუწევს სამსახურს, როგორც საქველმოქმედო საქმეს, აგრეთვე საზოგადოებას. არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავტოვოთ და არ გამოვუცხადოთ მადლობა აგრეთვე ეკ. ფანცულაიას და ქალბატონ კაკაბაძისას, რომელთაც არანაკლები ყურადღება მიიქციეს საზოგადოებისა”

მათთან ერთად მოწონება დაიმსახურეს ი.ფანცულაიამ,ვ. ყიფიანმა,გ. გელიკურაშვილმა, ვ. მაისურაძემ, ნ. სიდამონიძემ, დ. სამხარაძემ, ი. ფანიევმა და ი. სვანიძემ.

„წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა, – წერს გაზეთი „ივერია”, – ხალხი საკმაოდ დაესწრო და დააჯილდოვა მოთამაშენი გულუხვის ტაშის-კვრით”.

1893 წლის 24 ივნისს, ი. ფანცულაიას და ნ. გაბუნია-ცაგარელის თაოსნობით, წარმოადგინეს პიესები „ორი მშიერი”, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ”, „მზის დაბნელება საქართველოში”. გაზეთი „ივერია” ასეთ შეფასებას აძლევს: „წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა და დიდად ასიამოვნა მაყურებლები. დარბაზი სავსებით სავსე იყო ხალხით. წარმოდგენის შემდეგ გამართულ იქნა დივერტისმენტი. ბევრი ლექსები წაიკითხეს კარგად და მწყობრად. საზოგადოდ კმაყოფილები დარჩნენ მაყურებელნი”.

ეს წარმოდგენაც საქველმოქმედო ხასიათის იყო. იგი „...ხაშურის სადგურის მოხელეთა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ იყო გამართული. ამ ფულით სურთ, შეიძინონ ქართული წიგნები, რადგანაც აქამომდე არა ჰქონიათ ამ ბიბლიოთეკაში ქართული წიგნები და კითხვის მსურველნი კი საკმაოდ ბლომად არიან”.

იმავე წლის 24-25 ივლისს, თბილისის სათავადაზნაურო სკოლის სასარგებლოდ, კოტე ყიფიანის თაოსნობით,გაიმართა წარმოდგენა. პირველ დღეს – 24 ივლისს წარმოადგინეს ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი” და ვ.გუნიას ორი ვოდევილი „არც აქეთ, არც იქით” და „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან”. მეორე დღეს კი – 25 ივლისს ნაჩვენები იქნა გ. სუნდუკიანის „პეპო”. მთელი შემოსავალი გაიგზავნა „ივერიის” რედაქციაში სკოლისათვის გადასაცემად.

წარმოდგენაში ადგილობრივ სცენისმოყვარეებთან ერთად მონაწილეობდნენ მოწვეული მსახიობებიც.

1895 წლის ზაფხულში,ვასო აბაშიძისა და მაკო საფაროვა-აბაშიძის ხელმძღვანელობით, ხაშურს ესტუმრა ქართული დრამატული დასი, რომელმაც ხაშურსა და სურამში გამართა წარმოდგენები. გაზეთი „ივერია” აღნიშნავს რომ „სურამში და ხაშურში დიდი თანაგრძნობით მიეგებნენ არტისტებს”. გაზეთი იგივე წარმოდგენებზე სხვაგან წერს, რომ „ყველგან ხალხი დიდი ხალისით ეგებებოდა მათ წარმოდგენებს”.

ხაშურელ სცენისმოყვარეებს მუშაობაში ხელს უშლიდა თეატრალური შენობის უქონლობა. მართალია, ამ დროს არსებობდა რკინიგზის კლუბი, მაგრამ როგორც ჩანს, მას გარკვეული მიზეზების გამო ვერ იყენებდნენ.

1895 წლის 16 ივლისს გაზეთი „ივერია” იუწყებოდა, რომ 20 ივლისს ხაშურელი სცენისმოყვარეები ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ აპირებდნენ წარმოდგენის გამართვას. გათვალისწინებული იყო გ. ერისთავის „ძუნწისა” და ტიანცის „კაპიშონის” წარმოდგენა. ასეთი წარმოდგენა, მართლაც, გამართულა 20 ივლისს და უკვე 8 აგვისტოს იგივე „ივერია” აღნიშნავდა: „დიდის მადლობის ღირსნი არიან ის პირნი, რომელთაც ამ კეთილი განზრახვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს და თავისი შრომა არ დაზოგეს”.

ხაშურის თეატრალურ ცხოვრებაში განსაკუთრებული აღმავლობა შეიმჩნევა XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, რასაც ადგილი აქვს 900-იანი წლების დასაწყისამდე. ამ დროს ხაშურის თეატრს სათავეში უდგას შესანიშნავი თეატრალური და საზოგადო მოღვაწე იოსებ ფანცულაია. მისი ხელმძღვანელობით ხაშურში თეატრალური საქმიანობა ორგანიზებულ სახეს იძენს. მანვე შეძლო პირველი საზაფხულო თეატრალური შენობის აგებაც.

1896 წლის აგვისტოში ჟურნალი „კვალი” წერდა, რომ ხაშურში იოსებ ფანცულაიას „...მეცადინეობით და შრომით საზაფხულო თეატრი ააშენეს, სადაც დროგამოშვებით სცენისმოყვარენი მართავენ ქართულ წარმოდგენებს და ხალხიც ბლომად ესწრება”.

კორესპონდენციის ავტორი იქვე დასძენს: „...ხშირად შემოსავალი ხარჯს ვერ ფარავს, რადგანაც თითქმის უმეტესობას უფულოთ სურს თეატრში შესვლა. ესეც კარგია, რომ ხალხს თეატრის გემო და სიყვარული უგვრძვნია, იმედია, როცა სავსებით ძვალსა და რბილში გაუჯდება ხალხს თეატრის გემო და სიყვარული, შემდეგ, რა თქმა უნდა, თეატრის საქმეც კარგად წავა. ვისურვებთ, რომ ბ-ნ ფანცულაიას დანერგილ საქმეს კარგი ნაყოფი გამოეღოს”.

1897 წელს, იოსებ ფანცულაიამ ხაშურში უკვე პირველი თეატრალური დასის ჩამოაყალიბაც შეძლო. მასში გაერთიანებული იყვნენ სტეფანე ნოზაძე (ფონ-ტეფო), იოსებ მირზაშვილი, სიმონ ბაბლიძე, ალ. ბებერიშვილი, დარისპან სარალიძე, დავით ახალკაცი, ლადო თურმანიძე და სხვები. ამავე დროს ხაშურის სცენაზე, ადგილობრივ სცენისმოყვარეებთან ერთად, ხშირად გამოდიოდნენ ქართული პროფესიული თეატრის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ვ. აბაშიძე, მ. საფაროვა-აბაშიძისა, ვლ. მესხიშვილი, კ. ყიფიანი, ვ. გუნია, ეფ. მესხი, კ. მესხი, ს. სვიმონიძე და სხვები.

როგორც პერიოდული პრესიდან ირკვევა, იოსებ ფანცულაიასთან ერთად, ხაშურში საინტერესო თეატრალურ საქმიანობას ეწევა ქართული პროფესიული თეატრის ცნობილი მსახიობი ნიკოლოზ გალუსტოვი. გაზეთი „ცნობის ფურცელი” მის შესახებ აღნიშნავდა, რომ „დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი გალუსტოვი, რომელიც ეს რამდენიმე წელიწადია, ზაფხულობით გვესტუმრება ხოლმე და საზოგადოებას ნელ-ნელა აჩვევს და აყვარებს ქართულ წარმოდგენებზე სიარულს”.

თ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისის“ 2021 წლის პირველი კვარტლის საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და გაწეული საქმიანობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 16 დეკემბრის 21 განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის და წყლის სისტემის ზედამხედველობის, სასაფლაოს მოწყობისა და მოვლის ღონისძიებების, მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის,მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების, მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნებისა და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გათვალისწინებული პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მსგავსად 2020 წლის დაფინანსებისა 2021 წლითვისაც გამოიყო 1 962 200 ლარის დაფინანსება.

		ხელფასი	საქონელი და მომსახურება	სულ საფინანსება
1	დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები	530000	396000	926000
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის გარე განათება	86000	214000	374200
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობა	130300	144700	275000
4	წყლის სისტემის ზედამხედველობა	50400	39600	20000
5	გამწვანების პროგრამა	150000	104200	254200
6	მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატატრონობის პროგრამა	55000	8000	63000
7	სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა	38500	15500	54000
	ჯამი	1040200	922000	1962200

პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, დანახარჯებმა შეადგინა 405469 ლარი. საიდანაც ხელფასის ხარჯმა შეადგინა 257877 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯმა 21323 ლარი, ტრანსპორტის ტექმომსახურებისა და ექსპ;ლუატაციის ხარჯმა შეადგინა 126269 ლარი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 16033 ლარი. შეძენილი იქნა 98582 ლარის საწვავი - 31320ლიტრი დიზელი, 3132 ლიტრი ბენზინი და 21000 კბმ ბუნებრივი გაზი. სათადარიგო ნაწილების შესაძენად გამოცხადებული იქნა ტენდერი 59184 ლარის, ელექტრო საქონლის შესაძენად შეადგინა - 41040 ლარი, ხოლო ქვიშა-ხრეშის შესაძენად - 19000 ლარი.

კორონავირუსის პანდემიის გამო, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, ა(ა)ი.პ „ხაშურსერვის“ არ შეუწყვეტია პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება. საკუთარი შემოსავლებით თანამშრომლებისთვის შეძენილი იქნა 3000 ცალი პირბადე, 50 ლიტრი ხელის სადეზინფექციო ხსნარი, 5 ცალი უკონტაქტო თერმომეტრი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 926 000 ლარი, საიდანც ხელფასის ფონდი შეადგენს 530 000 ლარს, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრება 396 000 ლარით. 2021 წლის პირველ კვარტალში დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა 271500 ლარით, საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს 142500 ლარს , ხოლო საქონელი და მომსახურების დანახარჯთა მუხლი განისაზღვრა 129 000 ლარით. დასუფთავების პროგრამის შესრულებაზე დასაქმებულია 134 თანამშრომელი. 1 - მენეჯერი, 4 - სპეციალისტი, 40 - მეეზოვე, 42 - მუშა, 22 - დასუფთავების ქვითრების დამრიგებელი, 13 - მძღოლი, 6 - დამლაგებელი, 6 - სამუშაოთა მწარმოებელი და ადმინისტრაციის მოსამსახურე). დასუფთავების პროგრამის შესასრულებლად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 665 ცალი კონტეინერი. გამოიყენება ექვსი ერთეული ნაგავშემკრები სპეცტექნიკა და ხუთი სატვირთო ავტომანქანა. ყოველდღიურად ქ.ხაშურში იგვება 48100 მ 2 , ხოლო დაბა სურამში 15500 მ 2 ფართი. თვეში ერთხელ ვახორციელებთ ქ. ხაშურში და დაბა სურამში საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება -გაწმენდას 638000 მ 2- ზე. 2021 წელს პირველ კვარტალში, ხაშურის ნაგავსაყრელზე გატანილი იქნა 19672 მ 3 საყოფაცხოვრებო ნარჩენი. 2021 წლის პირველ კვარტალში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული და გახარჯული იქნა 238015 ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 261500 ლარისა. ხელფასის სახით გაიხარჯა 142264 ლარი, ნაცვლად, დაგეგმილი 142500 ლარისა. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სუფსიდიისა, დასუფთავების სამუშაოებისათვის გამოყენებული და გახარჯული იქნა საკუთარი შემოსავლებიდან 8635 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების სისტემის მოვლა- შენახვასა და რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 2021 წლის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის, გამოყოფილია 300000 ლარი.საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს 86 000 ლარს, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა 214000 ლარით. 2020 წლის პირველ კვარტალში დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა 171550 ლარით. გარე განათებისათვის საჭირო მასალების შესაძენად ჩატარებული იქნა ერთი ელექტრონული ტენდერი თანხით- 41050 ლარი. საიდანაც შეძენილი იქნა სხვადასხვა ამპერისა და ტიპის დიოდური ნათურა, რომლებიც გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის დასახლებების გარე განათების სამუშაოების შესასრულებლად. გარე განათების მოვლა-შენახვაზე დასაქმებულია: ერთი მენეჯერი, ერთი ბრიგადირ-ელექტრიკოსი, ხუთი ელექრტიკოსი და ორი მძღოლი, ემსახურება ორი სპეცავტომანქანა (ამწეკალათი). 2021 წლის პირველ კვარტალში გარე განათების სამუშაოებზე ხელფასის სახით გაიხარჯა 19170 ლარი, ნაცვლად-21540 ლარისა. გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვასა და რეაბილიტაციაზე დასაქმებულია ცხრა თანამშრომელი: ერთი მენეჯერი. ერთი ბრიგადირი, ხუთი ელექტრიკოსი ორი მძღოლი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობაზე 2021 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 275 000 ლარი, საიდანაც პირველი კვარტლის დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა 83750 ლარით. შიდა გზების მოვლა - პატრონობაზე დასაქმებულია ექვსი თანამშრომელი: ერთი - მენეჯერი, ერთი - გზის ინჟინერი, ოთხი - მექანიზატორი, სამი ერთეული საგზაო ტექნიკა: გზის გრეიდერი, ექსკავატორ-დამტვირთი და მუხლუხიანი ტრაქტორი. ტენდერზე შეძენილი იქნა 1400 კბმ ხრეში და 4500 კბმ ღორღი, რომელიც გამოიყენება მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთებაზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების, მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნებისა და სკვერების მოვლა-შენახვისათვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2021 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, განკარგულებით, გამოიყო დაფინანსება 2542 00 ლარი. პირველი კვარტლის დანახარჯები გეგმით განისაზღვრა 67500 ლარით, საიდანაც ხელფასის ფონდია -30604 ლარი, საქონელი და მომსახურება - 3120 ლარი. პირველი კვარტლის ფაქტიურმა დანახარჯმა შეადგინა 65172ლარი,

მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის ღონინისძიებების პროგრამის შესასრულებლად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2021წელისათვის დაამტკიცა 63 000 ლარი. 2021 წლის პირველი კვარტლის დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა 17750 ლარით. ფაქტობრივად, გაიხარჯა 15838 ლარი. საიდანაც ხელფასის ხარჯი შეადგენს -13245 ლარს. აღნიშნული პროგრამის შესასრულებლად დასაქმებულია 8 თანამშრომელი. ორი - სპეციალისტი, ერთი - ფერშალ-ლაბორანტი, ორი - ცხოველების დამჭერი კინოლოგი, ერთი - ვეტექიმი, ერთი - ცხოველების მომვლელი, ერთი - მძღოლი. 2021 წლის პირველ კვარტალში ცხოველთა თავშესაფარში შემოყვანილი იყო 64 ძაღლი. 15 ძაღლს ჩაუტარდა მკურნალობა. 10 ძაღლი დაიღუპა. 3 ძაღლი გაჩუქებული იქნა. დაუბრუნდა ბინადრობის პირვანდელ არიალს 48 ძაღლი. სულ შემოსული იყო 42 გამოძახება, ყველაზე მოხდა სათანადო რეაგირება.

მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებებზე 2021 წლისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოყო 54 000 ლარი. (ხელფასისათვი - 38500ლარი, საქონელი და მომსახურებისათვი - 15500 ლარი) 2020 წლის პირველი კვარტლისათვის დაგეგმილი იყო 18500 ლარის ხარჯი (ხელფასისთვი-9625 ლარი, საქონელი და მომსახურებისათვი-3875 ლარი.) ფაქტიურმა დანახარჯმა შეადგინა 10238 ლარი , საიდანაც ხელფასის ხარჯია 9964 ლარი. 2021 წლის პირველ კვარტალში ორგანიზაციის სამი მესაფლავის მიერ სასაფლაოების მოწყობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 5150 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წყლის სათავე-ნაგებობების ზედამხედველებზე 2021 წელს გამოყოფილი იქნნა 90000 ლარი, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ხელფასის სახით გაიხარჯა 13200 ლარი. შეძენილი იქნა 13668 ლარის სადეზინფექციო საშუალებები.

ნ. ცხოვრებაძე, ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისის“ დირექტორი



- სამბო -

წარმატება მსოფლიო ჩემპიონატზე

27 მაისს, კვიპროსში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, ჭიდაობა სამბოში, ახალგაზრდებს შორის 88კგ. წონით კატეგორიაში, ასპარეზობდა ხაშურის სასპორტო სკოლის მოსწავლე ზაურ დვალაშვილი, რომელიც ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. ვულოცავთ, ზაურს გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ შემდეგ ასპარეზობებზე.

სურამის ბიბლიოთეკა 125 წლისაა!

საამაყოა, რომ ასოცდახუთი წლის ისტორიას ინახავს ჩვენი ბიბლიოთეკა.

ცნობები სურამში ბიბლიოთეკის შესახებ XIX ს-ის 90-იანი წლებიდან მოგვეპოვება. 1895 წლის 30 ივნისს, ჟურნალი „კვალი" აქვეყნებს იოსებ მესხის წერილს, რომელშიც საუბარია სამკითხველოს პირველ ნაბიჯებზე, იმ დახმარებაზე, რაც ადგილობრივმა საზოგადოებამ გაუწია ახლად დაარსებულ სამკითხველოს:

„ქ-ნო რედაქტორო, გამგეობა სურამის უფასო სამკითხველოსი, უმორჩილესათ გთხოვთ, ნება მომცეთ მადლობა გამოვუცხადო თქვენი პატივცემული ჟურნალის „კვალის" საშუალებით შემდეგ პირთ, რომელნიც წიგნებით, ფულით და საქმით დაეხმარნენ აღნიშნულ სამკითხველოს..."

2021 წელს ვაცხადებთ სურამის ბიბლიოთეკის წლად და მთელი წლის განმავლობაში შემოგთავაზებთ საინტერესო სტატიებს არამარტო საბიბლიოთეკო საქმიანობის, არამედ სურამის კულტურული ცხოვრების შესახებ - დაარსებიდან დღემდე.

საბიბლიოთეკო გაერთიანება



საუკუნოვანი იუბილარი

ჩვენ მუნიციპალიტეტში, სოფელ წრომში 100 წლოვანი ხანდაზმული გვყავს: ქალბატონ ნორა ზუბაშვილს ამ დღეებში 100 წელი შეუსრულდა, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოხატა ინიციატივა მოგვენახულებინა იუბილარი, წრომის მაჟორიტარი დეპუტატის ემზარ მურჯიკნელის დახმარებით მოვიძიეთ ქალბატონი და ოჯახში მოკრძალებული საჩუქრით ხელდამშვენებული ვეწვიეთ. 3 შვილი, 8 შვილიშვილი, 14 შვილთაშვილი და კიდევ მეოთხე თაობა, თავად ნორა ზუბაშვილი კი, როგორც ოჯახის წევრებმა გაგვიმხილეს, სტუმრების მოლოდინის სიხარულით აღსავსე დაგვხვდა.

საჭირო დოკუმენტების თავმოყრის შემდეგ კი ქალბატონ იუბილარს მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, ფულადი საჩუქარიც გადაეცემა. გვინდა ჯანმრთელობა, სიმხნევე, ოჯახის და ქვეყნის კეთილდღეობა ვუსურვოთ ნორა ბებოს!

ი. გოცირიძე

აბელ (აბიკო) ჯანაშვილის ხსოვნას

კიდევ ერთი კარგი ადამიანი, სანიმუშო ოჯახის მამა, საუკეთესო მეგობარი დააკლდა ქალაქს, სამეგობროს, ახლობლებს.

აბიკო ჯანაშვილი იმ თაობის წარმომადგენელია, რომლებიც სიყვარულით და ერთგულებით ემსახურნენ მშობლიურ ქალაქს.

დადიოდა ხაშურის ქუჩებში, ცხოვრობდა, უხდებოდა ქალაქს, გამორჩეული თავაზიანი სალმით, მოყვასის სიყვარულით, პატიოსნებით, თავმდაბლობით. აქტიურად იყო ჩართული საკუთარი ქალაქის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში, ხარობდა შვილების და შვილიშვილების წარმატებებით, ამ მხრივ საამაყო მართლაც რომ ჰქონდა.

ვაცილებთ იმქვეყნად დიდი გულისტკივილით, უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი, მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ხაშურის მიწა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მიხეილ ჯანაშვილს მამის

აბელ (აბიკო) ჯანაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთის - „ხაშურის მოამბე" - თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანა და ხათუნა მაისაშვილებს მამის

ლერი მაისაშვილის

გარდაცვალების გამო.

D საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე-ინეზა ელისაშვილი, იუწყება ხაშურის მე-2 საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის,

ლიანა კვესაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.